ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3293236

ნომერი: AR1506441

თარიღი : 24.05.2017

გაცემის თარიღი : 01.06.2017

გაცნობის თარიღი : 02.06.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სპორტის სასახლის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 71-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია სირაძე პ/ნ 60002008706
- გოგი დოლიძის 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ლანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა
- შადრევანი
  ახალი მშენებლობა
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა
- 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
თქვენ მიერ საპროექტოდ შერჩეული ტერიტორია წარმოადგენს გამწვანებულ სივრცეს (სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1), სადაც გამწვანებისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებისას ძლიერ დაზიანდება არსებული მწვანე საფარი, რომელიც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია, წარმოადგენს რა სარეკრეაციო სივრცის ნაწილს და აბალანსებს მიმდებარედ მაღალი ინტენსივობით გადატვირთულ განაშენიანებას. აქედან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩია, ტერიტორია დარჩეს გამწვანებულ, საზოგადოებრივ სივრცედ,
ამასთან გაითვალისწინეთ რომ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-16 მუხლის თანახმად, რზ-1-ში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: განათების, სარწყავი სისტემის, სარეკლამო ბილბორდის, დეკორატიული გაფორმების ობიექტის, კიბეების, საფეხმავლო გზების ან/და ბილიკების.
შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.